მოწყობილობის დანიშნულება

მიქსერი — კომპაქტური ელექტროხელსაწყოა პროდუქტების ასარევად, ასათქვეფად, ასევე სხვადასხვა კონსისტენციის ცომის მოსაზელად ცომსაზელი კაუჭების მეშვეობით.

უსაფრთხოების ზომები

- ქსელში ჩართვამდე დარწმუნდით, რომ მოწყობილობის საინფორმაციო დაფაზე მითითებული ძაბვა შეესაბამება ელექტროქსელის მახასიათებლებს.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა, თუ კვების კაბელს, ელ. ჩანგალს, კორპუსს, მოძრავ ნაწილებს ან სხვა დეტალებს აღენიშნება ხილული დაზიანება. ტრავმების თავიდან ასაცილებლად, დაზიანებული კვების კაბელი უნდა შეიცვალოს სერვის-ცენტრში ან კვალიფიციური სპეციალისტის მიერ.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.
- არ ჩადოთ მოწყობილობის ძრავი წყალში და არ გარეცხოთ იგი წყლის ჭავლის ქვეშ.
- შეინახეთ მოწყობილობა და კვების კაბელი ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.
- არ დატოვოთ მოწყობილობა უმეთვალყურეოდ.
- მიქსერის გარეცხვამდე მოხსენით სათქვეფები ან ცომის მოსაზელი კაუჭები.
- მოცემული მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.
- გამოიყენეთ მოწყობილობა მხოლოდ ისე, როგორც ეს აღწერილია მოცემულ სახელმძღვანელოში. არასწორმა ექსპლუატაციამ შესაძლოა გამოიწვიოს ტრავმები.

ყურადღება:

- პირველ გამოყენებამდე გარეცხეთ მიქსერის ის ნაწილები, რომლებიც შეხებაში იქნება საკვებ პროდუქტებთან. მიჰყევით ინსტრუქციაში მითითებულ მითითებებს მიქსერის გარეცხვის შესახებ.
- არ გამოიყენოთ სხვა მწარმოებლის მიქსერების ნაწილები და კომპლექტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, საგარანტიო ვალდებულებები ანულირდება.
- ძრავის ბლოკის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, არ გამოიყენოთ მიქსერი მყარი ინგრედიენტების (მაგალითად, გაყინული კარაქის) ასარევად.
- მოწყობილობის გამოსართავად დააყენეთ სიჩქარის რეგულატორი პოზიციაში „გამორთვა.“
- მოწყობილობის გამორთვის შემდეგ, საცმების მოხსნამდე ან მიქსერის გაწმენდამდე ყოველთვის დაელოდეთ მოძრავი ნაწილების სრულ გაჩერებას.
- ყოველთვის გამორთეთ მოწყობილობა და გამოთიშეთ ელ. ჩანგალი როზეტიდან აწყობის, დაშლის, გარეცხვის, კომპლექტაციის შეცვლის წინ და მიქსერის მოძრავ ნაწილებთან ნებისმიერი კონტაქტის შემთხვევაში.